საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბებრისკონა

ბებრისკონა (Lamium purpureum), ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარე ტუჩოსანთა ოჯახისა. აქვს 10–30 სმ სიმაღლის მწოლარე ან წამოწეული ღერო, კვერცხისებრ-გულისებრი ან მომრგვალო, გრძელყუნწიანი ფოთლები, მეწამული, ვარდისფერი ან იშვიათად მოთეთრო ყვავილები.

იზრდება თითქმის მთელ საქართველოში მთის ქვედა და შუა სარტყელში ბუჩქნარებს შორის, რუდერალურ ადგილებზე, ტყეებში და როგორც სარეველა – ბაღებში.

გავრცელებულია აგრეთვე შუა ევროპაში, ხმელთაშუაზღვისპირეთში. მცირე აზიაში, ირანში, გზადგაყოლილია ჩრდ. ამერიკაში.

ლ. ხინთიბიძე